ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N 27

16 დეკემბერი 2021 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიოტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის N9 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის №9 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 06/04/2021 სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016425).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საკვები პროდუქტის შეძენა ან/და ფინანსური დახმარება უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის დღესასწაულთან დაკავშირებით, რომლის ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის მერი."

2.დადგენილებით დამტკიცებულ დანართის მე-14 მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულმა ბენეფიციარმა, მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა, ან შესაბამისი უფლების მქონე პირმა, ფინანსური დახმარების მიზნით, მერიაში უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი და ბანკში გახსნილი პირადი ანგარიშის მონაცემები."

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბაებაქაძე